წინასწარ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის პროცესის ხელშეწყობა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ძირითადი პრინციპების შესაბამისად

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ (GFG) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

სამუშაო აღწერილობა:

1. **პროგრამის მოკლე აღწერილობა**

პროგრამის სახელწოდება: კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში (GFG)

პროგრამის მიზანი: შერჩეული მუნიციპალიტეტებში უზრუნველყოფილია ადგილობრივი ბიუჯეტის შედეგზე ორიენტირებული, გენდერულად მგრძნობიარე და მონაწილეობითი დაგეგმვა და განხორციელება.

ძირითადი მოქმედების არეალები:

ა) უზრუნველყოფილია შედეგზე ორიენტირებული და ხარჯთეფექტური მუნიციპალური დაგეგმვა;

ბ) გაძლიერებულია ადგილობრივი თვითმმართველობების ანგარიშვალდებულება საჯარო ფინანსების მართვისა და განხორციელების პროცესში;

გ) უზრუნველყოფილია მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესში და დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშეწყობის გზით განვრცობილია კარგი პრაქტიკა.

პროგრამის ხანგრძლივობა: 01/06/2023-01/06/2026

2. ზოგადი ინფორმაცია

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში გაუმჯობესდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ითვალისწინებს მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებსა და გარანტიებს. ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხები გათვალისწინებულია სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტში. საქართველოს მთავრობის 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ამოცანა 3.3. ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობას. ამასთან, საქართველოს პარლამენტმა 2019 წელს მოახდინა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით ორგანული კანონი არ მოიცავს კონკრეტულ რეგულაციებს. თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებენ ბიუჯეტის გამჭვირვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბიუჯეტირების პროცესში თანამონაწილეობის მექანიზმებს გაძლიერებას ითვალისწინებს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიებიც.

ბიუჯეტირებაში, მათ შორის, ადგილობრივი ფინანსების მართვაში, საზოგადოების ჩართულობის საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას, რასაც ადასტურებს ბიუჯეტის ღიაობის კვლევის (Open Budget Survey) 2022 წლის მაჩვენებელიც, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტირების პროცესში საზოგადოების ჩართულობა შედარებით დაბალი (44) ქულით შეფასდა, მაშინ როდესაც გამჭვირვალეობისა და საბიუჯეტო ზედამხედველობის კუთხით საქართველოს მაღალი შედეგები აქვს და საერთო საშუალო მაჩვენებლებით პირველ ადგილს იკავებს 120 ქვეყანას შორის.

2020-2022 წლებში, GFG-ის წინამორბედი პროგრამის - „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ - მხარდაჭერით, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით 12 საპილოტე მუნიციპალიტეტში. საერთო ჯამში, სამი წლის განმავლობაში, მუნიციპალური ბიუჯეტებიდან მოქალაქეთა იდეებისთვის გამოიყო დაახლოებით 4 770 000 ლარი, რითაც დაფინანსდა მოქალაქეთა მიერ წარდგენილი და მათ მიერ ხმის მიცემის გზით არჩეული 124 საპროექტო იდეა. ჯამში დაახლოებით 23 060-მა მოქალაქემ მიიღო აღნიშნული მუნიციპალიტეტებიდან პროექტების წარდგენისა და ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა. მიღწეული შედეგების მდგრადობისა და კარგი პრაქტიკის მაგალითების სხვა მუნიციპალიტეტებში განვრცობის მიზნით, კარგი ფინანსური მმართველობის პროგრამის ფარგლებში GIZ აგრძელებს მუნიციპალური ბიუჯეტის

დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობის ინსტრუმენტების მხარდაჭერას.

მიღწეული შედეგების მდგრადობისა და კარგი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, 2023 წელს GIZ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესს მხარს დაუჭერს **რუსთავის, თელავისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში.**

3. საკონსულტაციო მომსახურების მიზანი

მომსახურების მიზანია, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის დანერგვის მხარდაჭერა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მე-16 მიზნისა და მისი ძირითადი პრინციპების შესაბამისად რუსთავის, თელავისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში და ამით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა.

4. მომსახურების ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები და ღონისძიებები

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, სამუშაოს შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს შემდეგი ამოცანები:

- შერჩული მუნიციპალიტეტისთვის მოამზადოს დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელშიც დროში გაწერილი ძირითადი აქტივობები, მათი განხორციელების გზები და საშუალებები, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო პროცესის ეტაპებს;
- დაეხმაროს თვითმმართველ ერთეულს გადაიხედოს და განახლდეს სამართლებრივი აქტების პროექტები, რომლებიც არეგულირებენ თვითმმართველ ქალაქ რუსთავში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესს.
- თელავისა და დუშეთი მუნიციპალიტეტებს დაეხმაროს შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავებასა და დამტკიცებაში. მათ შორის, უნდა განისაზღვროს პროექტის განხორციელების ეტაპები, ამ ეტაპების მიხედვით განსახორციელებელი სამუშაოების აღწერა, პროცესში ჩართული პირები, მათ პასუხისმგებლობები და სხვა დაკავშირებული საკითხები. სამართლებივი აქტები უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ინკლუზიურობა (საზოგადოების ყველა ჯგუფის ჩართულობა), გენდერული საკითხების გათვალისწინება, ონლაინ ხელმისაწვდომობა, მედიასთან წვდომა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიების არსებობა, ანგარიშვალდებულების ხელშემწყობი პროცედურების არსებობა.
- დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტებს და მუდმივად აწარმოოს საკონსულტაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სამუშაო ჯგუფთან მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე

(საინფორმაციო კამპანია, პროექტების მიღება/გადარჩევა, ხმის მიცემის პროცესი, გამარჯვებული პროექტების გამოვლენა/ბიუჯეტში ასახვა).

- დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის მომზადების, განხორციელებისა და ანგარიშგების ეტაპებზე გენდერული ასპექტების გათვალისწინებაში; მათ შორის, დაეხმაროს თვითმმართველ ერთეულს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინაციით განახორციელოს პროცესი;
- საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს საპროექტო წინადადებების მიღებისა და გადარჩევის არსებული მეთოდოლოგიის გადახედვა-განახლებაში (რუსთავის მუნიციპალიტეტი) და იმ მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, რომლებსაც არ აქვთ მსგავსი მეთოდოლოგია (თელავისა და დუშეთის მუნიციპალიტეტები), დაეხმაროს შემუშავებაში კონკრეტული მუნიციპალიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს გამოიყენონ უკვე არსებული ელექტრონული პლატფორმა (რომელიც შემუშავებულია წინა პროგრამის ფარგლებში), რომლის დახმარებითაც შეძლებენ სამოქალაქო ბიუჯეტირების პროცესში საპროექტო წინადადებების მიღებასა და კენჭისყრის ჩატარებას; დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს პროგრამული უზრუნველყოფის/პლატფორმის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე დაკავშირებაში;
- უზრუნველყოს პროცესის განმავლობაში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და კონსულტაციების გაწევა, Peer-to-peer სწავლების კონცეფციის ჩათვლით, რომელიც ითვალისწინებს ჩართულ მუნიციპალიტეტებს შორის ინფორმაციის გაცვლას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის მონაწილეობით (მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით); უნდა ჩატარდეს მინიმუმ ორი ერთობლივი შეხვედრა (ვორქშოფი) - პროექტის დასაწყისში საინფორმაციო შეხვედრა (kick-off workshop) და საბოლოო შეხვედრა;
- დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან კომუნიკაციისთვის საჭირო საპრეზენტაციო მასალების (MS PowerPoint პრეზენტაცია, პოსტერები და ფლაერები) შემუშავებასა და გავრცელებაში;
- ორგანიზება გაუწიოს საინფორმაციო შეხვედრებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან შეხვედრას. საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვისას უნდა მოხდეს საზოგადოების ყველა ჯგუფის გათვალისწინება, მათ შორის, სხვებთან ერთად, აუცილებელია იყოს სამოქალაქო საზოგადოების, ქალებისა და ახალგაზრდების ჯგუფები;
- დაეხმაროს თანამშრომლობის განვითარებას მუნიციპალიტეტში არსებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს/საინიციატივო ჯგუფებს და ადგილობრივი თვითმმართველობას შორის. ამ მიზნით, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტში/რეგიონში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ იდეების შემუშავებისა და წარდგენის მიზნით, ვორქშოფების ორგანიზება **(მინიმუმ ექვსი ვორქშოფი (მინიმუმ 2-2 თითო**

მუნიციპალიტეტში) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და მათი მხრიდან წარდგენილი 10-მდე საპროექტო იდეა სამივე მუნიციპალიტეტში, მათ შორის, რამდენიმე კერძო სექტორთან თანამშრომლობით);

შემუშავებული და წარდგენილი იდეების გავლენა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე (მათ შორის, ქალებსა და მამაკაცებზე) უნდა იყოს განმარტებული და დაასაბუთებული;

- შემუშავებული და განახლებული გეგმის მიხედვით განახორციელოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია, რაც მოიცავს ვიდეო/ინფოგრაფიკულ კლიპების დამზადებას საპროექტო წინადადებების მიღების, კენჭისყრისა და გამარჯვებულის გამოცხადების ეტაპისთვის; საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახლეობის განსხვავებული ჯგუფების სპეციფიკა Leave No One Behind (მოსახლეობის ყველა ჯგუფის ჩართულობა) და ინკლუზიურობის პრინციპების შესაბამისად;
- უზრუნველყოს პოსტერებისა და ფლაერების დამზადება, დაბეჭდვა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის გადაცემა პოსტერების საჯარო ადგილებზე გამოსაკრავად და ფლაერების მოსახლეობაში დასარიგებლად;
- პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად, ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობასთან შეხვედრებს. მონაწილეების შერჩევისას შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს მოსახლეობის ყველა ჯგუფის ჩართულობის გათვალისწინება (მათ შორის ქალების, ახალგაზრდების (მაგალითად, თელავის უნივერსიტეტის სტუდენტების) და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების (მუნიციპალიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით).
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებების ფარგლებში განახორციელოს სხვადასხვა მედია (მ.შ. ონლაინ და ბეჭდური მედია) აქტივობები. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ფეისბუქ-პოსტების გაშვებას და ფართო გავრცელებას (დაბუსტვას), ადგილობრივი სამაუწყებლო მედია საშუალებების არსებობის შემთხვევაში - ადგილობრივი ტელე-რადიო გადაცემების/სიუჟეტების მომზადებას და გაშუქებას, ბეჭდვით პრესაში ინფორმაციების გამოქვეყნებას და სხვა რელევანტური საქმიანობის განხორციელებას. ეს საქმიანობა უნდა განხორციელდეს სამოქალაქო ბიუჯეტირების პროცესის სამივე ეტაპზე: წინადადებების მიღების, კენჭისყრის და გამარჯვებული პროექტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების ეტაპზე;
- დაეხმაროს რუსთავის, თელავისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებს შემოსული საპროექტო წინადადებების მონაწილეობითი ბიუჯეტირების დამტკიცების შესახებ დადგენილებით/ბრძანებით განსაზღვრული პირველადი კრიტერიუმების შესაბამისად გადარჩევაში და კენჭისყრის ეტაპისთვის მომზადებაში;
- გამარჯვებული საპროექტო წინადადებ(ებ)ის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურს გაუწიოს შესაბამისი დახმარება, გამარჯვებული პროექტ(ებ)ი მომზადდეს „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების

თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანებით განსაზღვრულ ფორმატში;

- გაუწიოს დახმარება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს, რომ ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად შეიმუშავონ გამარჯვებული პროექტ(ებ)ის შეფასების ინდიკატორების საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები;
- დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს, რომ გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში, განახლდეს და მოერგოს კონკრეტული მუნიციპალიტეტის სპეციფიკას გამარჯვებული პროექტ(ებ)ის მიმდინარეობის მონიტორინგის არსებული მეთოდოლოგია;
- მოამზადოს პროექტის ფარგლებში არსებული გამოწვევების ანალიზი და წარმოადგინოს დასკვნები და რეკომენდაციები არსებული გამოწვევების დასაძლევად, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის სხვა მუნიციპალიტეტებში გავრცელების მიზნით (ძირითადი გამოწვევები, მათი მიზეზები და დაძლევის გზები);
- მათ შორის, შეიმუშავოს რეკომენდაციები ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკის ქვეყნის მასშტაბით სხვა მუნიციპალიტეტებში გავრცელებისა და ამ თემაზე დიალოგის ხელშეწყობის მიზნით;

მოსალოდნელი ვადები და სამუშაო დღეების რაოდენობა

ამოცანა	**მოსალოდნელი შედეგი**	**ვადა**	**სავარაუდო სამუშაო (ექსპერტის) დღე**
პროექტის დეტალური სამუშაო გეგმის შემუშავება სამივე მუნიციპალიტეტისთვის	შემუშავებული დეტალური გეგმა და პროექტის განხორციელების დეტალური მეთოდოლოგია	კონტრაქტის ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში	3 ექსპერტ-დღემდე
მუნიციპალიტეტებისთვის სამართლებრივი ჩარჩოს განახლებასა და შემუშავებაში მხარდაჭერა, მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციონალიზაცია	შემუშავებული, განახლებული და დამტკიცებული სამართლებრივი აქტები (მუნიციპალიტეტის	ივლისი - აგვისტო, 2023 წელი	15 ექსპერტ-დღემდე

ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	ვადა	სავარაუდო სამუშაო (ექსპერტის) დღე
(გამარჯვებული პროექტებისთვის მონიტორინგის მეთოდოლოგიის ჩათვლით)	საკრებულოს და/ან მერის მიერ)		
მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ელექტრონული პლატფორმების შექმნა/გამოყენებაში	შექმნილი/განახლებული და გამოყენებული ელექტრონული პლატფორმები	პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე (პროექტების წარდგენა, ხმის მიცემის ფაზა)	15 ექსპერტ-დღემდე
საინფორმაციო კამპანიის განხორციელებაში მხარდაჭერა	შემუშავებული და გავრცელებული საკომუნიკაციო მასალები (პრეზენტაციები, პოსტერები, ფლაერები, ვიდეო, სტატია, ფეისბუქ-პოსტები, სატელევიზიო შოუები, ელექტრონული მედიის საშუალებებით დაფარვა, ა.შ.), ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები	პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპი (ივლისი - ოქტომბერი, 2023 წ.)	35 ექსპერტ-დღემდე
მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ტრენინგები და კონსულტაციები, peer-to-peer გამოცდილების გაზიარების ფორმატის ჩათვლით	ტრენინგების მასალები, პროექტის ანგარიში შესაბამისი დანართებით (მაგ. მონაწილეთა სია, ფოტოები, დღის წესრიგი)	პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში	20 ექსპერტ-დღემდე

ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	ვადა	სავარაუდო სამუშაო (ექსპერტის) დღე
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ იდეების შემუშავებისა და წარდგენის მიზნით ვორქშოფების ორგანიზება და იდეების შემუშავების პროცესში მხარდაჭერა	ვორქშოფის მასალები (ფოტოები, დღის წესრიგი, ჰენდაუთები, მონაწილეთა სია); შემუშავებული იდეების რაოდენობა; წარდგენილი იდეების რაოდენობა; მათ შორის, წარდგენილი იდეებიდან გამარჯვებული და ბიუჯეტში ასახული იდეების რაოდენობა.	აგვისტო - ოქტომბერი, 2023	20 ექსპერტ-დღემდე
სამიზნე (ფოკუს) ჯგუფებთან შეხვედრები მუნიციპალიტეტებში	შესაბამისი შეხვედრების მასალები (მაგ: პრეზენტაციები, დღის წესრიგი, ფოტოები, მონაწილეთა სიები)	საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში	20 ექსპერტ-დღემდე
მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა წარდგენილი საპროექტო წინადადებების წინასწარი გადარჩევის პროცესში და ხმის მიცემის პროცესის წარმართვაში	წარდგენილი საპროექტო წინადადებების სია (ავტორები დახარისხებული გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში), კენჭისყრის შედეგები	განსხვავებული ვადები მუნიციპალიტეტების მიხედვით	12 ექსპერტ-დღემდე
მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა შერჩეული პროექტების ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8	მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის	15 ნოემბერი, 2023 წ.	5 ექსპერტ დღემდე

ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	ვადა	სავარაუდო სამუშაო (ექსპერტის) დღე
ივლისის N385 ბრძანებით გათვალისწინებულ ფორმატში მომზადებაში	პროექტებიდან შესაბამისი პუნქტები		
შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარმოდგენა, მათ შორის, ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც აღწერს პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს და შესაბამის რეკომენდაციებს პრაქტიკის სხვა მუნიციპალიტეტებში გასავრცელებლად	შესაბამისი ანგარიშები და ანალიტიკური დოკუმენტი	პროექტის განხორციელების შუალედურ და საბოლოო ეტაპები	5 ექსპერტ-დღემდე

5. **სამუშაოს ანგარიშგება**
   - მომსახურების გამწევმა უნდა მოამზადოს შუალედური და საბოლოო ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ, სადაც ასავე მოცემული იქნება გაწეული საქმიანობის ანალიზი, შეფასდება ძლიერი და სუსტი მხარეები და მომზადდება რეკომენდაციები შემდეგი ფისკალური წლისთვის გასატარებელი ცვლილებების შესახებ.
   - შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე, ხოლო შუალედური და საბოლოო ანგარიშების რეზიუმეები ინგლისურ ენაზეც. საბოლოო ანგარიში წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთ დოკუმენტად სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული სტრუქტურის შესაბამისად.

6. **სხვა პირობები**
   - სამუშაოს მიმღები დაკვეთის განხორციელებისას ვალდებულია დამკვეთს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია მიღებული შედეგების შესახებ და ყველა ღონისძიება შეათანხმოს GIZ-თან.
   - სამუშაოს მიმღები მომსახურების განხორციელებისას ვალდებულია დაცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტები.

განაცხადების მიღება და შერჩევა

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ორგანიზაციის გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის/სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის სფეროში მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით, რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი შემოთავაზებით;
2. შემოთავაზება დეტალურად უნდა აღწერდეს ორგანიზაციის მიერ სამუშაოს დაგეგმვისა და სამუშაოთ აღწერილობით გათვალისწინებული მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების მიღწევის გზებს, პროექტის განხორციელების მეთოდოლოგიას და აქტივობების განხორციელების განრიგს;
3. პროექტის განხორციელების გეგმა, ამოცანების მიხედვით განაწილებული სამუშაო დღეების რაოდენობის ჩათვლით;
4. მოცემული დაკვეთის შესასრულებლად, წარმოდგენილ ექსპერტებს უნდა ჰქონდეთ ჰქონდეთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ - **„წარმოდგენილი გუნდის პროფესიული გამოცდილება“**;
5. ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.

წამოდგენილი ექსპერტების/გუნდის ზოგადი პროფესიული გამოცდილება:

- მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება ბიუჯეტირების, მუნიციპალიური ბიუჯეტირების, მონაწილობითი ბიუჯეტირების, საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით;
- საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ცოდნისა და მუნიციპალიტეტებთან მუშაობის გამოცდილება (თანდართული უნდა იყოს შესაბამისი ინფორმაცია);
- ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გარემოს ცოდნა და მათთან მუშაობის გამოცდილება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;

- სულ მცირე ორი მსგავსი პროექტის განხორციელების გამოცდილება (თანდართული უნდა იყოს შესაბამისი ინფორმაცია).
- ქართული ენის (წერა, მეტყველება) სრულყოფილი ცოდნა; ინგლისური ენის (წერა, მეტყველება) სრულყოფილი ცოდნა (სულ მცირე ერთი ექსპერტის მიერ);

შემოთავაზებულ ექსპერტებს უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ექსპერტი 1 (გუნდის ლიდერი):

- უნივერსიტეტის ხარისხი საჯარო ადმინისტრირებაში, საჯარო ფინანსებში, ეკონომიკაში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში ან მსგავს სფეროებში (პუნქტი 2.1.3 შეფასების სქემაში);
- მსგავის პროექტების მართვის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება (პუნქტი 2.1.3 შეფასების სექმაში);
- ექსპერტული კომპეტენციები ადგილობრივი თვითმმართველობის, მუნიციპალური ბიუჯეტირების, მონაწილეობითი ბიუჯეტირების კუთხით (პუნქტი 2.1.4 შეფასების სქემაში);
- ძლიერი ანალიტიკური და წერითი უნარები და ანალიტიკური დოკუმენტების შემუშავების გამოცდილება; (პუნქტი 2.1.3 შეფასების სქემაში);
- ქართული ენის (წერა, მეტყველება) სრულყოფილი ცოდნა; ინგლისური ენის (წერა, მეტყველება) სრულყოფილი ცოდნა; (2.1.2 შეფასების სქემაში)
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის სრულყოფილი უნარები (პუნქტები 2.1.3; 2.1.5 შეფასების სქემაში);
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება (პუნქტი 2.1.3 შეფასების სქემაში);

ექსპერტები მონაწილეობითი ბიუჯეტირების სფეროში სამი მუნიციპალიტეტისთვის:

- უნივერსიტეტის ხარისხი საჯარო ადმინისტრირებაში, საჯარო ფინანსებში, ეკონომიკაში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში ან მსგავს სფეროებში (პუნქტი 2.6.1 შეფასების სქემაში);
- ექპერტული კომპეტენციები ადგილობრივი თვითმმართველობის, მუნიციპალური ბიუჯეტირების, მონაწილეობითი ბიუჯეტირების, საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით (პუნქტი 2.6.4 შეფასების სქემაში);
- დამატებითი კომპეტენციები ელექტრონული მონაწილეობის, კომუნიკაციის, გენდერის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, მდგრადი განვითარების მიზენების ადგილობრივ დონეზე განხორციელების კუთხით (2.6.4 შეფასების სქემაში);

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება (2.6.3 შეფასების სექმაში);
- საპროექტო წინადადებების წერის პრაქტიკული გამოცდილება (2.6.4 შეფასების სქემაში)
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის სრულყოფილი უნარები (პუნქტი 2.6.3 შეფასების სქემაში);
- ქართული ენის (წერა, მეტყველება) სრულყოფილი ცოდნა; ინგლისური ენის (წერა, მეტყველება) ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად; (2.6.2 შეფასების სქემაში);

ექსპერტი 5 (დამხმარე პერსონალი - საჭიროების შემთხვევაში)

- უმაღლესი განათლება ან სტუდენტი;
- კარგი კომუნიკაციისა და კოორდინაციის უნარები;
- ქართული ენის (წერა, მეტყველება) სრულყოფილი ცოდნა.

შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ. თანდართული შეფასების სქემა.

შენიშვნა: *ექსპერტების მოსალოდნელი რაოდენობა (დამხმარე პერსონალის ჩათვლით) არის ხუთამდე.*

მომსახურების ხანგრძლივობა და ანგარიშსწორება

მომსახურების განხორციელების სავარაუდო პერიოდია 10.07.2023 – 20.11.2023.

შერჩეულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, მომსახურების დაფინანსება მოხდება ეტაპობრივად, წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე.

განაცხადის მომზადება უნდა მოხდეს ინგლისურ ენაზე.

შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას *(შემოთავაზებული სტრუქტურა არის სარეკომენდაციო ხასიათის):*

1. თავფურცელი

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

2. პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)

2.1 პროექტის აღწერა

2.2. პროექტის მიზნები და ამოცანები, მათი განხორციელების მეთოდოლოგია (შესაბამისობაში უნდა იყოს სატენდერო განაცხადში მოცემულ სამუშაო აღწერილობასთან)

2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი

#	ღონისძიება	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	…	კომენტარი
1	X						*[მიუთითეთ საჭიროები სამებრ]*
2	Y						
3	Z						
...	…						

2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში.

2.5. დანართი

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები (CV-ები) და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

ფინანსური შემოთავაზება

თანდართული საფასო დოკუმენტის გამოყენება უნდა მოხდეს ფინანსური შემოთავაზების მომზადებისას.

გთხოვთ, თქვენი შემოთავაზება დათვალოთ თანდართულ საფასო განრიგში მოცემული სანიმუშო პუნქტების შესაბამისად.

ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯები, რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები და მისი რაიმე სახის დავალიანების გასტუმრება.

შენიშვნა: *გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საქართველოში სხვადასხვა ტიპის მომსახურების/საქონლის შესყიდვისას გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ს) გადახდიდგან, შესაბამისად, ბიუჯეტი უნდა იყოს წარმოდგენილი დღგ-ს გარეშე. თუმცა, პოტენციურმა სერვისის მომწოდებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში მათ მიერ სხვადასხვა საქონლის/მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, ისინი არ გათავისუფლდებიან დღგ-ს გადახდისგან*

**მითითებული თანხა უნდა მოიცავდეს საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის ხარჯებს.